განკარგულება:**გ-49. 492503111**
თარიღი:**31/01/2025**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

**1**. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.
**2.** განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
**3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესრულების შესახებ ინფორმაცია

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადასახდების დასაფინანსებლად იქმნება ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

2024 წელს ბიუჯეტის სარეზერვოს ფონდის წლიურმა გეგმამ შეადგინა 100,0 ათასი ლარი, მერის გადაწყვეტილებით გამოიყო 23.8 ათასი ლარი, აქედან გაიხარჯა 23.4 ათასი ლარი, ხოლო მეოთხე კვარტლისთვის სარეზერვო ფონდის გეგმა განისაზღვრა 10.0 ათასი ლარით, თანხის გამოყოფა და ხარჯვა არ განხორციელებულა. კერძოდ:

| № | თარიღი | ბრძანებ. № | ბრძანების თარიღი | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 07.02.2024 | 48.48240383 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის 06 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე დროებითი სამუშაოების განხორციელების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ტენტის შესაძენად | 3950 | 3950 |
| 2 | 06.03.2024 | 48.482406620 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შპს ,,წყალი ანკარა"-ს წყალმომარაგების ობიექტზე ელ. ენერგიის კაბელისა და სხვა ელ. სამოტაჟო საქონლის შეძენის მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ | 1500 | 1499.6 |
| 3 | 06.03.2024 | 48.482406618 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ქუთაისიდან წყალტუბოს შემოსასვლელში არსებულ 20 მეტრიან საყრდენ ბოძზე განთავსებული გარე მოხმარების საქართველოს ეროვნული დროშა ძლიერი ქარების შედეგად დაზიანებული სარკისებრი ბადე დროშის შესაძენად თანხის გამოყოფა | 9900 | 9900 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | 28.03.2024 | 48.4824088001 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2024 წლის 22 - 24 აპრილს იმერეთის რეგიონის კურორტ წყალტუბოში ევროპის ისტორიულ თერმულ ქალაქთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე საქართველოს, ევროკავშირის, კურორტების განვითარების სააგენტოს და ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების გარე გამოყენების დროშების შესყიდვისათვის თანხის გამოყოფა | 2000 | 1696 |
| 5 | 24.09.2024 | 48.482426821 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ძალისმიერი სპორტის ტიტულოვანი სპორტსმენი თამაზ კუჭავას საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ | 3000 | 3000 |
| 6 | 30.09.2024 | 48.48242744 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ქარის შედეგად, დაზიანებული ადგილობრივი მაცხოვრებლების კერძო სახლების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის შესახებ | 3400 | 3400 |
| სულ თანხა: | | | | 23750 | 23445.6 |